საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1157

27/11/2019

ქ. თბილისი

შპს „მ.გ.ტ.“-ს მიერ ქ. ჭიათურაში, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის (ექსპლუატაციის პირობების) ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მ.გ.ტ.“-ს მიერ ქ. ჭიათურაში, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის (ექსპლუატაციის პირობების) ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N123 (25.11.2019წ.);
2. შპს „მ.გ.ტ.“-მ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N123 (25.11.2019წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მ.გ.ტ.“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მ.გ.ტ.“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ქ. ჭიათურის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი